

შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასია

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოებისათვის

2023 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის

სარჩევი

[ფორმა N1- შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის ფინანსური მდგომარეობა](#)

[ფორმა N2- შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის საქმიანობის შედეგები](#)

[ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები:](#)

[კომპანია და მისი საქმიანობა](#)

[მომზადების საფუძველი](#)

[სავაჭრო მოთხოვნები](#)

[სასაქონლო მატერიალური მარაგები](#)

[ბიოლოგიური აქტივები](#)

[ძირითადი საშუალებები](#)

[სხვა გრძელვადიანი აქტივები](#)

[სავაჭრო ვალდებულებები](#)

[გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები](#)

[საკუთარი კაპიტალი](#)

ფორმა N1- შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის ფინანსური მდგომარეობა

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	267,444	120,228	44,075
სავაჭრო მოთხოვნები	46,745	34,501	9,541
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	-	-	-
მარაგები	973,413	661,404	274,558
- მზა პროდუქცია	-	-	-
- სხვა	973,413	661,404	274,558
საინვესტიციო ქონება	-	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	1,859,961	1,904,061	3,861,712
ბიოლოგიური აქტივები	628,831	531,534	532,428
- თვითღირებულების მოდელით	-	-	-
- გადაფასების მოდელით	628,831	531,534	532,428
გუდვილი	-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	534	534	534
ძირითადი საშუალებები	8,427,695	8,152,404	5,298,074
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	943,678	373,041	1,415,272
სულ აქტივები	13,148,301	11,777,707	11,436,194
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	960,983	334,733	253,347
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	220,948	177,862
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი	-	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	-	-	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	612,318	918,781	1,187,365
მიღებული გრანტები	-	-	-
სხვა ვალდებულებები	-	14,567	15,674
სულ ვალდებულებები	1,573,301	1,489,029	1,634,248
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	-	-	-
საემისიო შემოსავალი	-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	-	(1,286,322)	(886,527)
გადაფასების რეზერვი	-	-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	11,575,000	11,575,000	10,688,473
სულ საკუთარი კაპიტალი	11,575,000	10,288,678	9,801,946
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	13,148,301	11,777,707	11,436,194

ფორმა N2- შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის საქმიანობის შედეგები

	2023	2022
ნეტო ამონაგები	1,030,747	587,526
საქონლის გაყიდვიდან	659,285	427,180
მომსახურების გაწვიდან	89,934	-
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	-	-
სხვა	281,528	160,346
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(197,014)	(244,926)
გაყიდვების თვითღირებულება	(197,014)	(244,926)
საერთო მოგება	833,733	342,600
სხვა შემოსავალი	-	581,496
დასაქმებულთა ანაზღაურება	(552,420)	(380,323)
ცვეთა და ამორტიზაცია	(69,711)	(58,453)
საპროცენტო შემოსავალი:	5,948	-
საპროცენტო ხარჯი :	(128,205)	(173,232)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(871,497)	(677,090)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1,615,885)	(707,602)
საოპერაციო მოგება	(782,152)	(365,002)
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები	-	-
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	(911,460)	(661,404)
სხვა არაფინანსური აქტივები	-	-
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	916,489	-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(777,123)	(1,026,406)
მოგების გადასახადი	-	-
მოგება/(ზარალი)	(777,123)	(1,026,406)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რევერვი	-	-
სხვა	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	(777,123)	(1,026,406)
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	10,288,678	9,801,946
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	2,063,445	1,513,138
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	11,575,000	10,288,678

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასია“ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირს. მის მიზანს წარმოადგენს ქვეყანაში გამოყენებითი განათლების გავრცელება და კულტურული აქტივობების განვითარება.

შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასია უპრეცედენტო კერძო ინიციატივაა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროფესიული განათლების სექტორში, რომელიც მიზნად ისახავს მაღალი ხარისხის აგრარული პროფესიული განათლებისა და საკონსულტაციო სისტემის განვითარებას. შვეიცარიული სტანდარტით შექმნილი პროფესიული სასწავლებელი სპეციალიზებულია მეცხოველეობასა და რძის გადამუშავებაში. კოლეჯი დაინტერესებულ პირებს სთავაზობს მოკლე და გრძელვადიან პროფესიულ პროგრამებს, ფერმერობასა და რძის პროდუქტების წარმოებაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირის საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს საგანმანათლებლო საქმიანობა. გრძელვადიან სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებით პირს მინიჭებული აქვს შესაბამისი აკრედიტაცია კანონმდებლობის შესაბამისად. თუმცა, გარდა ამ მიმართულებისა პირს ასევე გააჩნია ყველის ქარხანა და საქონლის ფერმა, რომელთა საშუალებითაც ქვეყანაში აწარმოებს ყველსა და იოგურტს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ქარხანაში იწარმოება 6 სახეობის ყველი და იოგურტი. სკოლა მდებარეობს დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფელ სარკინეთში. სკოლა, ქარხანა და ფერმა მოწყობილია უახლესი ინფრასტრუქტურით. პირმა აქტიური სასწავლო საქმიანობა დაიწყო 2021 წლიდან.

გარდა ზემოაღნიშნული საქმიანობებისა პირი ასევე ატარებს სხვადასხვა სახის მოკლევადიან ტრენინგებს, რომლებიც დაკავშირებულია აგრარულ სფეროსთან, აღნიშნული ტრენინგების ნაწილი არ არის აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამები და ექვემდებარებიან დღგ-ით დაბეგვრას. გარდა ამისა, პერიოდულად ხდება სკოლის საკონფერენციო სივრცის მოკლევადიანი იჯარით გაცემაც, ასევე ხდება სკოლის საცხოვრებელი ნაწილის მოკლევადიანი იჯარით გაცემის ოპერაციებიც. ასევე, პირი რიგ შემთხვევებში ეწევა ქეითერინგის მომსახურებებსაც. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, პირს გააჩნია როგორც დღგ-საგან ჩათვლის უფლების გარეშე, ასევე ჩათვლის უფლებით და დასაბეგრი ოპერაციებიც.

2. მომზადების საფუძველი

მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს), ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, ხელმძღვანელობას არ აქვს განზრახული მისი ლიკვიდაცია.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

3. სავაჭრო მოთხოვნები

საანგარიშგებო წლის ბოლოს არსებული დებიტორული დავალიანებები არ წარმოადგენს ვადაგასულ დავალიანებებს.

4. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების ნაწილი შედგება ქარხანაში ნაწარმოები ყველისგან და ასევე კოლეჯის, ფერმისა და ქარხნის ფუნქციონირებისთვის საჭირო მარაგებისგან. სხვა მიდმინარე აქტივებში კი შედის ის ნაწილი რაც არ მოხვდა წინამდებარე ჩამონათვალში, მათ შორის მიღებული დაფინანსებები.

5. ბიოლოგიური აქტივები

ბიოლოგიურ აქტივებში იგულისხმება ხეხილის ბაღები და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი.

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები მოიცავს: მიწის ნაკვეთებს, შენობა-ნაგებობებს (გამოყენების ვადა 240 თვე), მანქანა დანადგარებს (180 თვე), სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და მოწყობილობებს (60 თვე), ავეჯს ოფისისთვის (60 თვე), ელექტროგადამცემის მოწყობილობებს (150 თვე), მსუბუქ ავტომობილებს (60 თვე) და სხვა ინვენტარს.

7. სხვა გრძელვადიანი აქტივები

სხვა გრძელვადიანი აქტივებში აღრიცხულია დაუმთავრებელი მშენებლობები, რომლის ნაწილის დასრულება დაგეგმილია 2024 წელს, დანარჩენის კი 2025 წელს.

8. სავაჭრო ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებების ნაწილი მოიცავს ავანსად ჩარიცხულ თანხებს. სავაჭრო ვალდებულებები არ წარმოადგენს ვადაგასულ ვალდებულებებს.

9. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

კომპანიას საქართველოს ბანკისგან აღებული აქვს 2 გრძელვადიანი აგრო სესხი: 1) 2020 წლის 5 აგვისტოს 775 000 ლარი და 2) 2020 წლის 11 ნოემბერს 500 000 ლარი.

10. საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი შედგება კომპანიის გამოცხადებული და რეგისტრირებული კაპიტალისგან.

